საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომის

ოქმი #29

2019 წ. 19 აგვისტო 16.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ო.გრიგოლია, ლ.დარახველიძე
ლ. არველაძე, ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე,
ი. ჯიშკარიანი, ნ.რუხაძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ნ.ლაცაბიძე

სხდომის თავმჯდომარე ნ.ლაცაბიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ

მოისმინეს:

დედაქალაქის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ დეპუტატებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია წარუდგინა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოებს.კერძოდ:

04 01 ბიზნესის სტიმულირება დაფინანსებულია 200.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (467.0 ათასი ლარი) 43%-ია. საანგარიშო პერიოდში ევროკავშირის გრანტის - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში გადარიცხულ იქნა: ა(ა)იპ „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ მიერ გაწეული მომსახურების ხარჯი; ბიზნეს აქსელერატორისათვის განკუთნილი შენობის ფასადის მოწყობის, საქმიანობის სარეკლამო მომსახურების, ვიდეორგოლის მომზადების, ბანერის დამზადების, ბრენდირებული საქონლის შეძენის, დოკუმენტაციის თარგმნის მომსახურების, კარტრიჯების, ფოტოაპარატის, სასმელი წყლის და პუფების შეძენის ხარჯები. ასევე, მომსახურე პერსონალის სავიზიტო ბარათების შეძენის ხარჯი, 26 მაისის ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯები (სტენდის შესყიდვა, მონიტორის დაქირავება, ინვენტარის გადაზიდვა).

04 03 თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები დაფინანსებულია 137.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (152.0 ათასი ლარი) 91%-ია. საანგარიშო პერიოდში შეიქმნა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა ბაზა და დაიბეჭდა ტურისტული რუკები.

04 04 თბილისი – საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში დაფინანსებულია 217.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 320.0 ათასი ლარი 68%-ია. საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა „ევროპის მთავარი ქალაქთა ქსელის“ საწევრო გადასახადი. გარდა ამისა, თბილისის მერიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს: თელავის მუნიციპალიტეტში პროექტის „საქართველოს მუნიციპალური ინდექსის“ ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრაში; ბორჯომის მუნიციპალიტეტში სამუშაო შეხვედრაში „დასაქმების გამოწვევები საქართველოში“; ნიდერლანდების სამეფოში (ქ. როტერდამი) „მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ ინიციატივის წევრი მუნიციპალიტეტებისათვის გამართულ სასწავლო ვიზიტში; ესპანეთის სამეფოში (ქ. მადრიდი) გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მიერ დაგეგმილ სამუშაო შეხვედრაში; შვედეთის სამეფოში (ქ. სტოკჰოლმი) სასწავლო შეხვედრაში „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებები“. უკრაინაში (ქ. ხარკოვი) მე-11

საერთაშორისო ტურისტულ ფორუმში „ხარკოვი: პარტნიორობა ტურიზმში"; არაბთა გაერთიანებულ საამიროებში (ქ. დუბაი) ტურისტულ გამოფენა „Arabian Travel Market 2019" და საინვესტიციო ექსპო კონფერენცია „Annual Investment Meeting"-ში; პორტუგალიის რესპუბლიკაში (ქ. ლისაბონი) მდგრადი ურბანული ტურიზმის ფორუმში „Cities for aii:building cities for citizens and vizitors"; გურჯაანის მუნიციპალიტეტში (სოფ. კაჭრეთი) ტრენინგზე „ენერგოეფექტურობა შენობებში და ადგილობრივად ხელმისაწვდომი განახლებადი ენერგიის წყაროები". ქ. თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო გიდების ასოციაციების მსოფლიო ფედერაციის მე-18 კონგრესის ღონისძიების გამართვის ორგანიზებაში; ჩატარდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-11 საერთაშორისო ფორუმი; მცირე მეწარმეების ხელშეწყობის და პოპულარიზაციის მიზნით მიმდინარეობს პროექტი გამოფენა-გაყიდვა "თბილისური ბაზარი"-ს მოწყობა.

04 08 თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა დაფინანსებულია 151.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 289.5 ათასი ლარის 52%-ია. საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიის თანამშრომლები დაესწრნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (ქ. ბერლინი) გამართულ ტურისტულ გამოფენას „ITB BERLIN"; გადახდილი იქნა თბილისის ტურისტული პოტენციალის შესასწავლად ტურიზმის სექტორის ბეჭდური და ციფრული გამოცემების ჟურნალისტების, ბლოგერების და ტურისტული ასოციაციების წარმომადგენლების ვიზიტის ხარჯები, ქალაქ თბილისის „ევროპის ქალაქების მარკეტინგში" და „საუკეთესო ევროპული მიმართულებებში" გაწევრიანების ხარჯები; თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო: ტურიზმის ეროვნული დაჯილდოების ღონისძიებაში, ტურიზმის 21-ე საერთაშორისო გამოფენის, ტურიზმის კონფერენციისა და ტურისტული ფასდაკლებების ფესტივალის მიმდინარეობაში, რეგიონალურ შეხვედრაში „სასტუმროს ქართული ბრენდი გლობალურ ბაზარზე", ღონისძიების „ღამის ეკონომიკის განვითარება" ფარგლებში „თბილისის სტარტაპ ბიუროს" ერთობლივი პროექტის - night Lab-ის პირველ ჰაკათონში მონაწილე სამი გამარჯვებული გუნდის დაჯილდოების ცერემონიაში. ასევე, თბილისის მერიამ ორგანიზება გაუწია ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის თემატური ტრენინგების ჩატარებას.

04 09 ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია - 5.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 15.0 ათასი ლარის 38%-ია. საანგარიშო პერიოდში გადახდილ იქნა Armada Holding-ის ერთ-ერთი მსხვილი საინვესტიციო ჯგუფის დამფუძნებლის და სხვა წარმომადგენლების ვიზიტის ხარჯები (ტრანსპორტით მომსახურება და ფურშეტით გამასპინძლება). ასევე, თბილისის მერიამ საინვესტიციო სექტორების

პრიორიტეტულობის დადგენის მიზნით, გამართა 2018 წელს ჩატარებული კვლევის „ქალაქ თბილისის საინვესტიციო პოტენციალი“ პრეზენტაცია.

კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. საკრებულოს წევრებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს.

ნ.ლაცაბიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ნ.ლაცაბიძე